IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ცხოველთა მიმართ სასტიკი და არასათანადო მოპყრობის მდგომარეობა საქართველოში

კვლევა მომზადებულია პროექტის - *სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის* - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

Visegrad Fund

შინაარსი

შესავალი **1**
ძირითადი მიგნებები **2**
საერთაშორისო კონტექსტი **3**
სამართლებრივი რეგულირება 3
ცხოველთა დაცვის მხრივ მოწინავე ქვეყნები 4
ეროვნული კანონმდებლობა **4**
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 5
სისხლის სამართლის კოდექსი 5
კანონპროექტი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ 6
ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის სტატისტიკა საქართველოში **6**
დასკვნა **9**

შესავალი

საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში, ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და მასზე რეაგირების საკითხმა, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც ძირითადად სოციალურ ქსელებში შინაურ ცხოველთა მიმართ წამებისა და სასტიკად მოპყრობის ფაქტების მასობრივად გავრცელებამ განაპირობა.

ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან ბრძოლა მნიშნელოვანია, როგორც ცხოველთა დაცვის, ისე საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ცხოველთა მიმართ ძალადობის განმახორციელებელი პირები ხშირ შემთხვევაში არ შემოიფარგლებიან აღნიშნულით და ჩადიან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, მათ შორის ქმედებებს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ.[1] ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან ბრძოლა მძიმე დანაშაულთა პრევენციის ერთგვარ მექანიზმს წარმოადგენს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შეისწავლა ცხოველთა წინააღმდეგ სასტიკ და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მისი აღსრულების მდგომარეობა საქართველოში. ამ მიზნით IDFI-მ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა შესაბამისი უწყებებიდან. IDFI ასევე გაეცნო მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო რეგულაციებსა და იმ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას, რომლებიც გამოირჩევიან ცხოველთა კეთილდღეობის მაღალი სტანდარტებით.

[1] https://psycnet.apa.org/record/2005-06180-001; https://www.peta.org/issues/animal-companion-issues/animal-companion-factsheets/animal-abuse-human-abuse-partners-crime/; https://www.nytimes.com/1991/08/07/us/clues-to-a-dark-nurturing-ground-for-one-serial-killer.html.

ძირითადი მიგნებები

აღნიშნული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

სამართლებრივი რეგულირება

- საქართველო გაწევრიანებულია ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში, თუმცა არ არის შინაური ბინადარი ცხოველების დაცვის ევროპული კონვენციის ხელმომწერი.
- საქართველოში ამჟამად არ არსებობს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმულ ნაბიჯი იქნება საქართველოში ცხოველთა დავის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.
- დადებითად უნდა შეფასდეს კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში შესული ცვლილებები, რომელთა შედეგადაც გამკაცრდა პასუხისმგებლობა ცხოველთა მიმართ არასათანადო მოპყრობისთვის.
- მეტ დასაბუთებას მოითხოვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ახალი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მშობელთა პასუხიმგებლობას, არასრულწლოვანთა მიერ ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობისთვის. არასრუწლოვანთა ქმედებებს, გარდა მშობლებისა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ასევე აღმზრდელობითი დაწესებულებები და ზოგადად საზოგადოება. ვფიქრობთ, პრაქტიკაში შეუძლებელი იქნება იმის დადასტურებით მტკიცება, რომ არასრულწლოვნის მიერ განხორცილებული ქმედება პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მშობლებთან მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების არაჯეროვანად შესრულებასთან.

სტატისტიკური მონაცემები

- მიღებული მონაცემების თანახმად ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ცხოველთა წამების და მათდამი სასტიკი მოპყრობის (სსკ-ის 259-ე მუხლი) ფაქტებზე გამოძიებათა დაწყების მაჩვენებელი.
- თუ გავითვალისწინებთ იმ მოწინავე ქვეყნების სტატისტიკას, სადაც ცხოველთა კეთილდღეობის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტებია დანერგილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მსგავს დანაშაულთა დიდი რაოდენობა სამართალდამცავ ორგანოებამდე ვერ აღწევს.
- ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლები ერთეული ხასიათის არის.
- დაბალია ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით სასამართლოთა მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობაც.
- რაც შეეხება გამოყენებული სასჯელის ზომებს, სასამართლოთა მიერ უმეტეს შემთხვევაში ბრალდებულებს შეეფარდებათ ჯარიმა, ხოლო უფრო მკაცრი სასჯელი დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში გამოიყენება.
- ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე სტატისტიკა არ წარმოებს სრულყოფილი სახით, თითოეული მუხლის მიხედვით,

რაც შეუძლებელს ხდის სრული სურათის დანახვასა და პრობლემის მასშტაბის განსაზღვრას.

საერთაშორისო კონტექსტი

სამართლებრივი რეგულირება

ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და წამების წინააღმდეგ ბრძოლა გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. "ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრევენციის ამერიკული საზოგადოების" (ASPCA) თანახმად[2], ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტი ყოველ 60 წამში ერთხელ ფიქსირდება.[3] ამ ფონზე განსაკურებით პრობლემურია, რომ გლობალურ დონეზე არ არსებობს ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დააწესებდა ცხოველთა დაცვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტებს.[4] ნაცვლად ამისა მსგავსი სტანდარტები შემუშავებულია ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, თუმცა მათ არ აქვთ საერთაშორისო კონვენციის სტატუსი და აღნიშნულ სტანდარტთა შესრულება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელია წევრი ქვეყნებისთვის. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 180 ქვეყანა, მათ შორის საქართველო.[5]

რეგიონულ დონეზე ევროპის მასშტაბით შემუშავებულია შინაური ბინადარი ცხოველების დაცვის კონვენცია. განსხვავებით გლობალური სურათისა, ევროპული კონვენცია შესასრულებლად სავალდებულოა ხელმომწერი ქვეყნებისთვის.[6] კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები აღიარებენ, რომ არავის აქვს უფლება მიაყენოს ცხოველს უმიზეზოდ ტკივილი ან ტანჯვა. კონვენციის თანახმად, პირი, რომელიც თანხმდება ცხოველის მოვლაზე, პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და, შესაბამისად, ვალდებულია უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველი შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით, მზრუნველობითა და ყურადღებით.

შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს კარგ მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იყოს დარეგულირებული ცხოველთა დაცვის საკითხები საერთაშორისო დონეზე. მსგავსი რეგიონული შეთანხმებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე როდესაც არ არსებობს მოცემული საკითხის მარეგულირებელი შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც დამტკიცებული იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ და ღია ხელმოწერისთვის.

<u>საქართველოს საკუთარი რეგიონული მდებარეობიდან გამომდინარე იმყოფება ერთგვარ უპირატეს მდოგმარეობაში და ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს შინაურ</u>

---

2 https://www.aspca.org/.
3 https://unodriftwood.com/2136/opinion/every-60-seconds/.
4 https://digitalcommons.law.msu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1466&context=facpubs; https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-26818-7_5.
5 http://worldanimal.net/wan-resources/animal-protection-law-resources/international-agreements.
6 კონვენციას ხელს აწერს ევროსაბჭოს 25 ქვეყანა. ესენია: ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი და უკრაინა.

ბინადარ ცხოველთა დაცვის ევროსაბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების დანერგვა ეროვნულ დონეზე. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ საქართველო დღეის მდგომარეობით არ არის აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი. არ არსებობს არც დეკლარირებული პოლიტიკური ნება ამ მხრივ მომავალში ქმედითი ნაბიჯების გადადგმისათვის.

ცხოველთა დაცვის მხრივ მოწინავე ქვეყნები

ცხოველთა კეთილდღეობა და მათი დაცვა არასათანადო მოპყრობისგან ეთიკურ, მეცნიერულ, ეკონომიკურ, კულტურულ ან რელიგიურ ჭრილში ყურადღების გამახვილებას მოითხოვს. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ინდექსის თანახმად ყოვლისმომცველი კანონმდებლობის, სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ადეკვატური რეაგირებისა და საერთაშორისო კონვენციათა ვალდებულებების შესრულებით გლობალური მასშტაბით შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და ახალი ზელანდია ლიდერობენ.[7]

ამ ქვეყნებში შექმნილია და ფუნქციონირებს ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის სახელმწიფო დაწესებულებები. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის მეტი ეფექტურობისთვის, სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებულნი არიან გამომძიებლები და პროკურორები, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ცხოველთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. მოცემულ ქვეყნებს შემუშავებული აქვთ ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ერთიანი და ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტები. შექმნილია ცხოველთა მიმართ არასათანადო ფაქტების შესახებ განცხადებების მიღების მარტივი და ეფექტური სისტემები.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დიდ ბრიტანეთში 2018 წლის განმავლობაში ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის სახელმწიფო სამსახურის ცხელ ხაზზე ცხოველთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ მილიონზე მეტი ზარი შევიდა და გამოძიებულ იქნა 130 ათას შემთხვევაზე მეტი. სასამართლოთა მიერ განხილულ იქნა საქმე 2000-მდე ბრალდებულთა წინააღმდეგ.[8] ახალი ზელანდიის ცხოველთა წინაღმდეგ სასტიკი მოპყრობის პრევენციის საზოგადოების მიერ 2017 წლის განმავლობაში გამოძიებულ იქნა 15 ათასზე მეტი საჩივარი.[9] ამავე წელს შვეიცარიაში 474 პირი იქნა ბრალდებულად ცნობილი ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო.[10]

ეროვნული კანონმდებლობა

დღეს-დღეისობით საქართველოში, ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობისთვის პასუხიმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსი (259-ე მუხლი) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (104-ე და 172-ე მუხლები) არეგულირებენ. ბოლო

7 https://api.worldanimalprotection.org/#; https://www.worldatlas.com/articles/best-countries-for-animal-welfare.html.
8 https://www.rspca.org.uk/documents/1494939/7712578/ProsecutionReport2019.pdf/a2ae6cdc-efe2-f6bf-cac3-0fb53da37bf6?t=1556101041009.
9 https://www.spca.nz/downloads/assets/60394/1/spca2018_annual-report.pdf.
10 https://www.swissinfo.ch/eng/t_swiss-courts-crackdown-on-animal-cruelty/44213066.

პერიოდში მოცემულ საკანონმდებლო აქტებში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, გამკაცრდა პასუხისმგებლობა ცხოველთა წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული დანაშაულებისთვის და გაჩნდა დანაშაულის ახალი სახეები. ამასთან, საქართველოს პარალმენტში მოხდა „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მიღების შემთხვევაში ძალაში შევა 2020 წლის 1-ლი იანვრიდან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია დაჯარიმდება 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით. ცვლილებათა განხორციელებამდე მოცემული ქმედებისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო ჯარიმა შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე. ამასთან, ცვლილებათა განხორცილების შემდეგ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა კოდექსში გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს იმ მშობელთა პასუხიმგებლობას, რომელთა მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობა, გამოიხატა ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობით, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება ან მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია. მოცემული მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას 100-დან 300 ლარამდე ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.[11] კანონპროექტის <u>განმარტებით ბარათში</u> ცვლილების განმაპირობებელ ფაქტორად პირის ადრეულ ასაკში განცდილი მენტალური და ფსიქოლოგიური ტრავმაა დასახელებული.

<u>ვფიქრობთ აღნიშნული განმარტება მეტ დასაბუთებას მოითხოვს. არასრუწლოვანთა ქმედებებს, გარდა მშობლებისა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ასევე აღმზრდელობითი დაწესებულებები და ზოგადად საზოგადოება. ვფიქრობთ, პრაქტიკაში შეუძლებელი იქნება იმის დადასტურებით მტკიცება, რომ არასრულწლოვნის ქმედება პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მშობელთა მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების არაჯეროვანად შესრულებასთან. შესაბამისად პასუხისმგებლობის მშობლებზე დაკისრება წინააღმდეგობაში მოვიდოდა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.</u>

სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შედარებით მძიმე დანაშაულისთვის. კერძოდ, ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობისათვის, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია.[12] აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე. ცვლილებათა განხორციელებამდე, მოცემული ქმედებისთვის სასჯელის სახით გათვალიწინებული იყო, ჯარიმა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

<u>სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები და ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა დადებითად უნდა შეფასდეს.</u>

---

11 https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=433.
12 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208.

კანონპროექტი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“

„შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირების მიზანს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუციებისა და სამართლებრივი ბაზის შექმნა წარმოადგენს. კანონპროექტის მიღების შედეგად შეიქმნება შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვებ სტანდარტებს, პატრონთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ასევე, დარეგულირდება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობები.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. საკრებულოთა დადგენილებებით რეგულირდება მხოლოდ უპატრონო ცხოველთა (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის წესები.

<u>როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, ცხოველთა დაცვის მხრივ მოწინავე ქვეყნებში მოქმედებს სრულყოფილი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დეტალურად არეგულირებენ ცხოველთა (მათ შორის შინაურ ბინადარ ცხოველთა) დაცვასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონის მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმულ ნაბიჯი იქნება საქართველოში ცხოველთა დაცვის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. კანონმდებლობის დონეზე დარეგულირდება შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მათი კეთილდღეობის აუცილებელი სტანდარტები, პატრონთა ვალდებულებები, ცხოველთა კომერციული მოშენება-გამოყენებისა და რეალიზაციის პირობები.</u>

ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის სტატისტიკა საქართველოში

ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრობლემის მასშტაბის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებთან წვდომა. სწორედ ამ მიზნით IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მიღებული მონაცემების თანახმად ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი გამოძიებათა დაწყების მაჩვენებელი ცხოველთა წამების და მათდამი სასტიკი მოპყრობის (სსკ-ის 259-ე მუხლი) ფაქტებზე. 2018 წლის განმავლობაში გამოძიების დაწყების შემთხვევათა რაოდენობა მკვეთრად აღემატება გასული წლების მაჩვენებლებს. მაღალია 2019 წლის პირველი ხუთი თვის მაჩვენებელიც.



ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლები ერთეული ხასიათის არის. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2008-2012 და 2016-2017 წლებში გამოძიება მოცემული მუხლით არ დაწყებულა. 2013-2014 წლებში გამოძიება დაიწყო ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის თითო ფაქტზე, 2015 წელს კი - 2 ფაქტზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა და გამოძიება მსგავს 4 შემთხვევაზე დაიწყო. მიმდინარე წლის განმავლობაში შსს-ს მიერ ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის ერთი ფაქტია დაფიქსირებული.



აღსანიშნავია, რომ შსს-მ ვერ შეძლო მოეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის რეგისტრირებული დანაშაულებიდან რამდენი იქნა გახსნილი უწყების მიერ. შსს-ს განმარტებით ის მოცემული მუხლით რეგისტრირებულ დანაშაულთა გახსნის სტატისტიკას განცალკევებულად არ აწარმოებს.

დაბალია ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით სასამართლოთა მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული მონაცემების თანახმად ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის მუხლით 2008 წლიდან დღემდე განხილულ იქნა 17 საქმე. ამასთან 2009, 2013 და 2016

წლებში ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით სასამართლოებმა საქმეები სხვა ისეთ დანაშაულებთან ერთობლიობაში განიხილეს როგორიც არის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ან/და ქონების განადგურების მუქარა, არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით და ცრუ დასმენა. დადებითად უნდა შეფასდეს, ის რომ ბოლო წლებში ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობის საქმეებს სასამართლოები სხვა დანაშაულის ნიშნების არსებობის გარეშე განიხილავენ.



* მონიშნული წლებში ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის საქმეები განიხილებოდა სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში.

რაც შეეხება გამოყენებული სასჯელის ზომებს, სასამართლოთა მიერ უმეტეს შემთხვევაში ბრალდებულებს შეეფარდათ ჯარიმა. პირობითი მსჯავრი -3 და თავისუფლების აღკვეთა -1 შემთხვევაში. მოცემულ შემთხევებში სახეზე იყო დანაშაულთა ერთობლიობა.



სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიღება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ცხოველისადმი არასათანადო

მოპყრობის სასამართლოთა მიერ განხილული საქმეების შესახებ. აღნიშნულის მიზეზად უზენასმა სასმართლომ კვლავაც სტატისტიკური მონაცემების არ არსებობა დაასახელა.

ბოლო წლებში ცხოველთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რეგისტრირების მაჩვენებლის გაზრდა დადებითად უნდა შეფასდეს. აღნიშნული სტატისტიკა IDFI-მა 2017 წელსაც შეისწავლა და აღნიშნა, რომ განცხადებათა მცირე რაოდენობა მაღალი ალბათობით მიუთითებდა საკითხისადმი მოსახლეობის გულგრილობაზე და არა ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტების მცირე რაოდენობაზე.[13] მართალია, ბოლო წლებში მოცემულ დანაშაულთა რეგისტრირების მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ მოწინავე ქვეყნების სტატისტიკას, სადაც ცხოველთა კეთილდღეობის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტებია დანერგილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ კვლავაც მსგავს დანაშაულთა დიდი რაოდენობა სამართალდამცავ ორგანოებამდე ვერ აღწევს.

დასკვნა

ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და წამების შემთხვევების შემცირება კომპლექსური საკითხია. აუცილებელია ყოვლისმომცველი კანონმდებლობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი უწყების არსებობა, რომელიც სპეციალიზებული იქნება ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხების გამოვლენასა და რეაგირებაზე, მათ შორის შესაბამისი დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმეთა სამართალდამცავი უწყებებისთვის მიწოდებაზე. უმნიშვნელოვანესია საქართველომ საერთაშორისო დონეზე დააფიქსიროს მაღალი პოლიტიკური ნება იმისა, რომ ქვეყანაში დაინერგოს ცხოველთა დაცვის მაღალი სტანდარტები, რომლებიც თანხვედრაში იქნება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ რეგულაციებთან. ამ მხრივ გადადგმული პირველი ნაბიჯი შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვის კონვენციის ხელმოწერა უნდა იყოს.

აუცილებლია ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის პრობლემის სრულყოფილი შესწავლა. აღნიშნული კი შეუძლებელია ამომწურავი სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის პირობებში. მნიშვნელოვანია, ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე სტატისტიკის განცალკევებით წარმოება და მისი პროაქტიულად გამოქვეყნება.

გარდა სახელმწიფო პოლიტიკის და კანონმდებლობის დახვეწისა აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ. აღნიშნული საკითხი გათვალიწინებული უნდა იყოს სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო განათლების პროგრამებში. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საკითხზე ინფორმაცია საზოგადოების მცირეწლოვან წევრებს ადრეული ასაკიდანვე სწორი სახით მიეწოდოთ.

[13] https://idfi.ge/ge/statistics_on_animal_cruelt_in_georgia.